



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კეკელიშვილი

2 აგვისტო 2019 წელი

N 41/36

ეგზ.: N1

საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისათვის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	5
	2. სხვა გარემოებები	10
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	12
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	14
დანართები	საკონტაქტო ინფორმაცია	19

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია

ბიურო – სსიპ – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო

დიპდაწესებულება – საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები

ცენტრი – სსიპ – საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივ მართვასა და კოორდინაციას.

სამინისტროს სტრუქტურას შეადგენს ცენტრალური აპარატი, საზღვარგარეთ საქართველოს 72 დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება, სსიპ – საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, სსიპ – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო და სსიპ – ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ამტკიცებს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების სამტატო და ხარჯთა ნუსხებს. დაფინანსების მოცულობების განსაზღვრა ხორციელდება ორი ვალუტის – ევროს და აშშ დოლარის მიხედვით. დიპლომატიური დაწესებულებები ამავე ვალუტებში წარმომადგენენ ფინანსურ ანგარიშგებებს.

2018 წელს სამინისტროს მიერ ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ 143,707,086 ლარი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ N1 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სამინისტროს 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის შესახებ (ლარი):

ცხრილი N1.

მუხლის დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	%	საკასო ხარჯი
სულ სამინისტრო:	120,950,000	143,757,427	119%	143,475,063
შრომის ანაზღაურება	9,474,000	9,362,700	99%	9,308,104
<i>მომუშავეთა რიცხოვნობა¹</i>	<i>759</i>			
საქონელი და მომსახურება	103,359,000	109,068,350	106%	108,875,641
გრანტები	5,689,000	6,107,314	107%	6,105,472
სოციალური უზრუნველყოფა	164,000	243,945	149%	234,385
სხვა ხარჯები	72,000	497,254 ²	690%	487,043
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,192,000	18,477,864 ³	843%	18,464,418

ქვემოთ მოცემულ N2 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების⁴ გადანაწილების შესახებ (ლარი):

ცხრილი N2.

დასახელება	დაფინანსება	%
სულ სამინისტრო:	143,707,086	100%
72 დიპდაწესებულება	116,633,769	81%
აპარატი	25,396,994	18%
სსიპ – საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ	984,777 ⁵	0.7%
სსიპ – ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი	566,592	0.1%
სსიპ – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო	124,954	0.2%

¹ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ დაწესებულებებში როტაციის წესით, სამუშაოდ მივლინებულ პირთა დამტკიცებული რიცხოვნობა 382 ერთეულს შეადგენს და მათი გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურება ხორციელდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლით.

² ზრდა გამოწვეულია საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა გადმოსვენების ხარჯების ანაზღაურებით.

³ ზრდა გამოწვეულია ლონდონსა და სტრასბურგში საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებებისთვის შენობების შესყიდვით.

⁴ ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ის მიხედვით, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შემოსავლებმა შეადგინა 802,541 ლარი.

⁵ ბიუჯეტის შესრულებაში ასახულია ცენტრის მიერ მიზნობრივი გრანტების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს,⁶ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.1. კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგება

1.1.1 ფინანსური შედეგი

უკრაინაში საქართველოს საელჩოს და სსიპ-ის – საინფორმაციო ცენტრ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების აფასების შედეგი, ფორმა N4-ში ნაცვლად კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების „არასაოპერაციო შემოსავლების“ ანგარიშისა, შეცდომით ასახულია ფორმა N2-ში, კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში. შედეგად, „გრანტების“ ანგარიში 6,802,306 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

კონსოლიდირებულ ფორმა N2-ში „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის“ ანგარიშზე სამინისტროს კონტროლირებული სსიპ-ების⁷ მიერ მიღებული დარიცხული შემოსავლის ნაცვლად, შეცდომით ასახულია საკასო შემოსავლები, რის გამოც „სხვა შემოსავლების“ ანგარიში გაზრდილია 108,011 ლარით.

კონსოლიდირებულ ფორმა N2-ში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯები შეცდომით შემცირებულია 23,300 ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგი გაზრდილია 6,933,616 ლარით, ხოლო კონსოლიდირებულ ფორმა N4-ში „არასაოპერაციო შემოსავლები“ შემცირებულია 6,802,306 ლარით.

1.1.2 საქონელი და მომსახურება

დიპდაწესებულებებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებების გამოყოფა ხორციელდება მხოლოდ „საქონელი და მომსახურების“ მუხლით, მიუხედავად იმისა, რომ სახსრები განკუთვნილია როგორც ხარჯების სხვადასხვა კატეგორიის დაფინანსების, ასევე „არაფინანსური აქტივების ზრდისთვის“.

დაფინანსების ზემოაღნიშნული სპეციფიკიდან გამომდინარე, დიპდაწესებულებების მიერ გაწეული ყველა ხარჯი კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ფორმა N2-ში ასახულია „საქონელი და მომსახურების“ ანგარიშზე, მაშინ როდესაც გაწეულია ისეთი ტიპის ხარჯებიც,⁸ რომლებიც საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით „სხვა ხარჯებს“ მიეკუთვნება, რის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებში.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფორმა N2-ში „საქონელი და მომსახურების“ ანგარიში გაზრდილია 4,505,865 ლარით⁹ და იმავე თანხით შემცირებულია „სხვა ხარჯების“ მუხლი.

1.2. ფულადი სახსრები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დიპდაწესებულებების საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთი არ ედრება ბალანსში ასახულ შესაბამის ნაშთებს,¹⁰ რაც გამოწვეულია იმით, რომ ბუღალტრული

⁷ თარგმნის ბიურო და სწავლების ინსტიტუტი.

⁸ შენობის და ავტომატების დაზღვევის ხარჯები, საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა გადმოსვენების ხარჯები.

⁹ მოყვანილია მხოლოდ საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა გადმოსვენების ხარჯები.

¹⁰ შედეგის სამეფოში საქართველოს საელჩოს მიერ 2018 წელს განხორციელებული ოპერაცია ბუღალტრულად აღრიცხულია 2019 წელს, რის გამოც 2018 წლის ბოლოს ფულადი სახსრების ნაშთი გაზრდილია წარმოდგენილი – 61,855 ლარით; შვეიცარიის კონფედერაციაში

გატარებები დაგვიანებითაა ასახული. შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის ბოლოს „ფულადი სახსრების“ ნაშთი გაზრდილად არის წარმოდგენილი 54,415 ლარით.

1.3. მოთხოვნები

1.3.1 მოკლევადიანი მოთხოვნები

დიპდაწესებულებების ბალანსზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხებოდა 6,510,343 ლარის დებიტორული დავალიანება, საიდანაც 1994-2013 წლებში წარმოქმნილი 614,570 ლარის მოთხოვნების რეალობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სამინისტროში არ მოიპოვება. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული 614,570 ლარის „დებიტორული დავალიანების“ ნაშთის არსებობასა და სისწორეზე. აღსანიშნავია, რომ დავალიანების რეალობის დადგენის მიზნით, 2019 წელს სამინისტრომ დაიწყო ღონისძიებების გატარება.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ბალანსზე „მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე აღრიცხულია საელჩოს კუთვნილი შენობის მომსახურე კომპანიისთვის 2013-2017 წლებში წინასწარ გადახდილი თანხებით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელს ავანსად მიღებული თანხის შესაბამისი მომსახურება გაწეული ჰქონდა, დებიტორული დავალიანების ჩამოწერა არ განხორციელებულა. შედეგად, კონსოლიდირებულ ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ საბოლოო ნაშთი 287,282 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

1.3.2 უკან დაბრუნებადი გადასახადები

„დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის კონვენციით,¹¹ დიპდაწესებულებები გათავისუფლებული არიან ყოველგვარი გადასახადისაგან. კონკრეტული ქვეყნის საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, დიპდაწესებულებების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვა იბეგრება გადასახადით, რომლის დაბრუნება შემდგომ პერიოდში ხორციელდება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით, დიპდაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, დაბრუნებადი გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივად ელიარებიანათ მათზე მოთხოვნის უფლების წარმოქმნისთანავე. რეკომენდაცია გათვალისწინებულია მხოლოდ 10 დიპდაწესებულების მიერ, მაშინ როდესაც წარმოდგენილი ინფორმაციით, უკან დაბრუნებადი გადასახადები აქტივად აღრიცხული უნდა ჰქონოდა 44 დიპდაწესებულებას.

დაბრუნებადი გადასახადების თანხებით უნდა შემცირებულიყო როგორც დარიცხული ხარჯების, ასევე აქტივების თვითღირებულება. აღნიშნული შეუსაბამობების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის დადგენის შეუძლებლობის გამო, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებულ ფორმა N1-ში – „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ ნაშთის სისრულესა და სისწორეზე, ასევე „ძირითადი აქტივების“ და „მატერიალური მარაგების“

საქართველოს საელჩოს მიერ ფულადი სახსრები შემცირებულადაა წარმოდგენილი – 8,673 ლარით, რომელიც დაკორექტირდა 2019 წლის თებერვალში, ხოლო უნგრეთში საქართველოს საელჩოს მიერ ფულადი სახსრები შეცდომით გაზრდილად არის წარმოდგენილი 1,232 ლარით.

¹¹ მუხლი 23.

ნაშთებისა და კონსოლიდირებულ ფორმა N2-ში „ხარჯების“ მუხლის სისწორეზე.

1.4. მატერიალური მარაგები

სამინისტროს აპარატის ბალანსზე, 2018 წლის საწყის და საბოლოო ნაშთად უცვლელად ირიცხებოდა 60,328 ლარის მატერიალური მარაგები,¹² რომლებიც წარმოადგენდა გამოუყენებელ ქონებას. გამომდინარე იქიდან, რომ იუსტიციის სამინისტრომ შეცვალა სხვადასხვა მოწმობის ფორმები, აღნიშნული ქონებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. ნაერთი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ საწყისი და საბოლოო ნაშთი 60,328 ლარით გაზრდილი თანხითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს დაწყებული აქვს ღონისძიებები ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

1.5. ვალდებულებები

სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „ვალდებულებების“ ანგარიშზე არ არის ასახული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით UNESCO-ს მიმართ რიცხული 3,833,783 ლარის¹³ დავალიანება,¹⁴ საიდანაც გრძელვადიანი ვალდებულება შეადგენს 3,244,930 ლარს, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულება – 588,853 ლარს. შედეგად, 3,833,783 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი „კრედიტორული დავალიანების“ საბოლოო ნაშთი და იმავე თანხით გაზრდილია „წმინდა ღირებულების“ ანგარიშის ნაშთი.

დიპდაწესებულებების ბალანსზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხებოდა 922,623 ლარის კრედიტორული დავალიანება, საიდანაც 2000 – 2006 წლებში წარმოქმნილი 72,016 ლარის დავალიანების რეალობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სამინისტროში არ მოიპოვება. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული 72,016 ლარის „კრედიტორული დავალიანების“ ნაშთის არსებობასა და სისწორეზე. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს დაწყებული აქვს ღონისძიებები ზემოაღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ვალდებულებების“ ანგარიშზე ასახულია აშშ-ში საქართველოს საელჩოს ბალანსზე რიცხული, ფინანსური იჯარით წარმოქმნილი 324,083 ლარის ვალდებულება. ვინაიდან გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი არ არის გამოყოფილი, „გრძელვადიანი ვალდებულების“ საბოლოო ნაშთი გაზრდილადაა ნაჩვენები 162,042 ლარით და იმავე თანხით შემცირებულია „მოკლევადიანი ვალდებულებების“ ნაშთი.

უნგრეთში საქართველოს საელჩოს ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში გაზრდილად არის ნაჩვენები 21,184 ლარის „კრედიტორული დავალიანება“, საიდანაც 10,438 ლარის დავალიანება აღრიცხული უნდა იყოს „მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე, ვინაიდან აღნიშნული თანხა წარმოადგენს მოთხოვნას ავანსად გაცემული სახსრებით, ხოლო 10,745 ლარის დავალიანება

¹² სხვადასხვა სახის მოწმობა, კარტრიჯები.

¹³ 1,432,333 აშშ დოლარი, 1\$=2.6766 ლარს.

¹⁴ გადაუხდელი საწევრო გადასახადი.

2018 წელს უნდა ჩამოწერილიყო მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის დამადასტურებელი შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე.

1.6. შემოსავლები

2018 წელს საკონსულო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლად დიპ-დაწესებულებებს აღრიცხული აქვთ 1,638,648 ლარი, ხოლო იუსტიციის სამინისტროსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გაწეული მომსახურებებიდან – 4,620,525 ლარი. აღნიშნული მომსახურებების მისაღებად, მოქალაქეების მიერ წინასწარ გადახდილი თანხები, დიპდაწესებულებების მიერ შემოსავლად აღირიცხება საკასო მეთოდით,¹⁵ მაშინ როდესაც აღრიცხვის ინსტრუქციით,¹⁶ საოპერაციო შემოსავლების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს დარიცხვის მეთოდით.

ვინაიდან ვერ იმიჯნება, მიღებული თანხიდან რამდენია ფაქტობრივად გაწეული მომსახურება და რამდენია მიღებული ავანსი, ვერ შევძელით საკასო მეთოდით შემოსავლების აღრიცხვით გამოწვეული შეუსაბამოების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო ეფექტის განსაზღვრა.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „კრედიტორული დავალიანების“ ნაშთის სისრულესა და სისწორეზე, ასევე კონსოლიდირებულ ფორმა N2-ში 2018 წელს მიღებული „შემოსავლების“ სისწორეზე.

1.7. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება

წმინდა საყდართან (ვატიკანში) და უნგრეთში საქართველოს საელჩოების მიერ 2018 წელს ბუღალტრული აღრიცხვა არ მიმდინარეობდა სპეციალიზებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემით, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებულ ფორმა N2-ში „საქონელი და მომსახურების“ მუხლზე ასახული 1,926,230 ლარის ხარჯების წარმოშობაზე, სისრულეზე, სისწორეზე, დროში გამიჯვნაზე, კლასიფიკაციაზე და წარდგენაზე.

პორტუგალიაში საქართველოს საელჩოს მიერ ბუღალტრული აღრიცხვა მიმდინარეობდა N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შეუსაბამოდ, არასწორი და არათანმიმდევრული აღრიცხვის გამო, ბუღალტრული ინფორმაცია წარმოდგენილია მნიშვნელოვანი უზუსტობებით და არსებითი თანხებით არ ედრება საელჩოს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ შესაბამის მონაცემებს.

1.8. ძირითადი კაპიტალის მოხმარება

აპარატის ბალანსზე რიცხულ ძირითად აქტივებზე არასწორად დარიცხული ცვეთის შედეგად, ნაერთი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (ფორმა N2) „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ 311,863 ლარით გაზრდილად არის ნაჩვენები, ხოლო კონსოლიდირებულ ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი გაზრდილია – 80,005 ლარით.

პორტუგალიასა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს მიერ წარმოდგენილი ცვეთის დარიცხვის უწყისი არ შეიცავს ინფორმაციას აქტივების ისტორიულ ღირებულებაზე. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებული

¹⁵ დიპდაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, მოქალაქეს უკან დაუბრუნოს გადახდილი თანხა.

¹⁶ 154-ე მუხლი .

ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (ფორმა N2) 405,255 ლარის „პირითადი კაპიტალის მოხმარების“ სისწორეზე.

1.9. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის N835 ბრძანებულების¹⁷ მიხედვით, დიპლომატიურმა დაწესებულებებმა შემოსულობების ხარჯვა უნდა განახორციელონ ადგილსამყოფელ ქვეყანაშივე, ე.წ. „ბიუჯეტთან ჩათვლის წესით“, რაც გულისხმობს დიპდაწესებულებების მიერ საზღვარგარეთ გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლში ასახვას, ნაცვლად „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის“ მუხლისა.

აღნიშნული ინფორმაცია არ არის მითითებული სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლისა და ერთეულის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არასაკმარისად წარმოდგენილი ინფორმაციის შედეგად, მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილნი მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც მათ ფინანსური ანგარიშგების აღქმაში დაეხმარებოდათ.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად

¹⁷ „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“.

2. სხვა გარემოებები

2.1. ნაშთებს შორის სხვაობა

სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ნაშთები და ოპერაციები არ ედრება სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მონაცემებს. აღნიშნული გამოწვეულია, ზოგიერთი ნაშთის მხოლოდ ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახვით, კონსოლიდაციისას მათი რეკლასიფიცირებით და კორექტირებით. შედეგად, იზრდება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღსარიცხავი ინფორმაციის სისრულესთან და სისწორესთან დაკავშირებული რისკები.

2.2. ინვენტარიზაცია

2018 წელს დიდადწესებულებებს არ ჰქონდათ ჩატარებული 131,629 ლარის მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია,¹⁸ ხოლო დებიტორ-კრედიტორების ინვენტარიზაცია¹⁹ არასრულყოფილად იყო განხორციელებული, ვინაიდან საინვენტარიზაციო კომისიებს არ ჰქონდათ მომზადებული დასკვნა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერის მიზანშეწონილობაზე ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.²⁰ ყოველივე ზემოაღნიშნული ორგანიზაციაში არსებულ კონტროლის სისუსტეებზე მიუთითებს.

2.3. ინფორმაციული უსაფრთხოება

სამინისტროში არ იყვნენ განსაზღვრული კონკრეტული პირები ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერად და კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტად. სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის არ მიუწოდებია ინფორმაციული უსაფრთხოების შიდასამსასურებრივი გამოყენების წესი და არ განუხორციელებია ინფორმაციული აქტივების ინვენტარიზაცია, რაც არ შეესაბამება „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

2.4. შრომის ანაზღაურება

2018 წელს სამინისტროში შრომის ანაზღაურების სახით გაცემული 9,352,998 ლარიდან,²¹ თანამდებობრივმა სარგომ – 7,960,937 ლარი (85%), პრემიამ – 23,650 ლარი (0.5%), ხოლო სახელფასო დანამატმა – 1,368,411 ლარი (14.5%) შეადგინა. სამინისტროში 2018 წელს შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე გეგმით განსაზღვრული 759 ერთეულიდან, ფაქტობრივად დასაქმებული იყო 709 თანამშრომელი (93%), ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა გეგმით გათვალისწინებული რიცხოვნობა 468 ერთეულს შეადგენდა.

2.4.1 სსიპ-ების ხელმძღვანელებზე გაცემული დანამატი

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,²² საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო ეძლევა ზემდგომი თანამდებობის პირის/ორგანოს გადაწყვეტილებით.

2018 წელს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული 3 სსიპ-ის ხელმძღვანელის მიერ, 7 შემთხვევაში სახელფასო დანამატის სახით მიღებული

¹⁸ საქართველოს საელჩოები თურქეთში, იტალიაში, ბელგიის სამეფოში, კორეის რესპუბლიკასა და ბრაზილიაში.

¹⁹ საქართველოს საელჩოები ნორვეგიაში, ესპანეთში, ავსტრიაში და იტალიაში.

²⁰ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-11 მუხლი.

²¹ მოიცავს სსიპ-ების მიერ საკუთარი სახსრებით გაცემულ შრომის ანაზღაურებას.

²² მუხლი 25.

2.4.2 დადგენილზე მეტი ოდელობით გაცემული დანამატი

18,020 ლარი არ იყო შეთანხმებული სამინისტროსთან, რაც შეუსაბამოა კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,²³ თანამშრომლის მიერ წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი სახელფასო დანამატის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 20%-ს.

ცენტრის და ბიუროს მიერ არ იყო გათვალისწინებული ზემოთ ხსენებული შეზღუდვები და 2018 წელს თანამშრომლებზე გაცემულმა სახელფასო დანამატმა 20,570 ლარით (9%) გადააჭარბა დადგენილ ზღვარს.

2.5. მატერიალური მარაგების ხარჯვის კონტროლის სისტემები

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,²⁴ საბიუჯეტო ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოების მექანიზმები და პროცედურები იმდაგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ფინანსური რესურსების მართვის და კონტროლის სისტემის გამართული ფუნქციონირება.

სამინისტროს აპარატის მიერ წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა პასუხისმგებელ პირებზე მატერიალური მარაგების გაცემის დოკუმენტაცია²⁵ და მოხსენებითი ბარათები, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა²⁶ და არ ჩანს კონკრეტული ღონისძიების ფარგლებში გახარჯული მარაგების სახეობა და რაოდენობა. აპარატში არ იყო შედგენილი მატერიალური მარაგების ხარჯვის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია (ჩამოწერის აქტი), რაც კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

²³ მუხლი 26.

²⁴ მუხლი 4.

²⁵ მაგალითად, მოთხოვნა-გასავლის ფაქტურა.

²⁶ სტუმრებს გადაეცათ საჩუქრები.

3 ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდონ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ

გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

ვახტანგ პერტაია

უფროსი აუდიტორი

რუსუდან აბულაშვილი

აუდიტორ-ასისტენტი

ირაკლი ქანთარია

აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა

	02.08.2019
	02.08.2019
	02.08.2019

ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება (ლარი)	31.12.2018	31.12.2017
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	2,159,834	1,567,355
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	57,653	2,685
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	23,145,352	8,669,481
სხვა მატერიალური მარაგები	861,979	565,200
სულ მოკლევადიანი აქტივები	26,224,818	10,804,721
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1,015,058	-
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	32,602	25,335
ძირითადი აქტივები	71,059,906	65,490,320
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	546,677	123,322
საინვესტიციო ქონება	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	72,654,243	65,638,977
ბალანსი	98,879,061	76,443,698
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	85	85
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	1,846,600	1,661,351
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	1,846,685	1,661,436
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	360,031	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	360,031	-
სულ ვალდებულებები	2,206,716	1,661,436
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	96,592,665	74,718,498
გაუნაწილებელი მოგება	79,680	63,764
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	96,672,345	74,782,262
ბალანსი	98,879,061	76,443,698

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯე- ტო სახსრები	სულ	2017 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	143,707,086	-	143,707,086	119,898,515
შემოსავლები	7,194,078	802,541	7,996,619	20,773
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	7,194,078	-	7,194,078	-
სხვა შემოსავლები	-	802,541	802,541	20,773
ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	-	-	-
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	802,541	802,541	20,773
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	-	-	-	-
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	-	-	-	-
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	-	-	-
სულ:	150,901,164	802,541	151,703,705	119,919,288
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	9,308,103	44,895	9,352,998	9,420,151
საქონელი და მომსახურება	108,240,406	612,623	108,853,029	101,633,143
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	4,478,096	1,897	4,479,993	4,342,360
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-
გრანტები	7,256,974	-	7,256,974	5,472,856
სოციალური უზრუნველყოფა	234,385	-	234,385	175,697
სხვა ხარჯები	580,895	1,556	582,451	119,522
სულ:	130,098,859	660,971	130,759,830	121,163,729
ფინანსური შედეგი	20,802,305	141,570	20,943,875	(1,244,441)

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	21,874,167	15,916	-	21,890,083
კორექტირებები:	(1,139,557)	19,635	-	(1,119,922)
ცვეთა (+)	4,478,096	1,897	-	4,479,993
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(7,302,877)	-	-	(7,302,877)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(296,779)	-	-	(296,779)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება	(7,267)	-	-	(7,267)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	1,463,320	(1,592)	-	1,461,728
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	525,950	19,330	-	545,280
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	20,734,610	35,551	-	20,770,161
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	20,174,423	3,259	-	20,177,682
ძირითადი აქტივები	20,174,423	3,259	-	20,177,682
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(20,174,423)	(3,259)	-	(20,177,682)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	-	-	-	-
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-	-	-
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	560,187	32,292	-	592,479
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	1,567,355	-	-	1,567,355
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	2,159,834	-	-	2,159,834
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
საწყისი ნაშთი	74,718,498	63,764	74,782,262
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	-	-	-
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	74,718,498	63,764	74,782,262
არასაოპერაციო შემოსავლები	2,657,165	-	2,657,165
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	631,367	-	631,367
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	2,025,798	-	2,025,798
არასაოპერაციო ხარჯები	953,924	-	953,924
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	34,195	-	34,195
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	919,729	-	919,729
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	631,379	105,795	737,174
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	631,379	105,418	736,797
მოგების გადასახადი	-	377	377
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	20,802,305	141,570	20,943,875
ნაშთი წლის ბოლოს	96,592,665	99,539	96,692,204

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებუ ლი გეგმით	გადახრა % დაზუს- ტე ბულ და დამტკი- ცებულ გეგმას შორის	საკასო (ფაქტობრი- ვი) ხარჯი	გადახრა % საკასო (ფაქტობრივი) ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის	დარი- ცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო (ფაქტობრივ) ხარჯს შორის
ხარჯები	123,108,000	125,724,038	102.12%	125,242,668	99.62%	130,098,859	4,856,191
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	9,474,000	9,362,700	98.83%	9,308,103	99.42%	9,308,103	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	19,342,000	18,497,864	95.64%	18,464,418	99.82%	-	(18,464,418)
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	-	-	-	-

საკონტაქტო ინფორმაცია

ანგარიშის ავტორები	ვახტანგ პერტაია - vpertaia@sao.ge რუსუდან აბულაშვილი - rabulashvili@sao.ge ირაკლი ქანთარია - ikantaria@sao.ge
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://sao.ge/ https://budgetmonitor.ge/ka http://blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38